თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3744025

ნომერი: AR1562205

თარიღი : 04.12.2017

გაცემის თარიღი : 19.12.2017

გაცნობის თარიღი : 20.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 17 შინდისელი გმირის ქუჩა N17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მარიამიძე პ/ნ 35001049722
- რუსთავი კონსტიტუციის ქ. კორ. 14 ბ. 31

ორგანიზაცია:

- შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბი.აი.ჯი (ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფი)“ კოდი: 204559156

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- წარმოსადგენია ფასადისა და სარეკლამო აბრის ზედაპირის ფართობის პროცენტული გაანგარიშება, რომლის გათვალისწინებით ფოტომონტაჟზე ასევე უნდა იქნას დატანილი ფასადის გაბარიტული ზომები. გაითვალისწინეთ ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმები, კერძოდ: "საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფოტომონტაჟზე დატანილ იქნას ფასადისა და სარეკლამო აბრის გაბარიტული ზომები და იმ შემთხვევაში თუ საანგარიშო ფასადზე არსებული სტიკერები განთავსებულია ვიტრაჟების ექსტერიერის მხრიდან, აღნიშნულთა ფართობი ასევე იანგარიშება პროცენტულობის ანგარიშისას (სტიკერებთან დაკავშირებით ინფორმაცია განიმარტოს მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში).

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 33-ე მუხლის, 2-ე პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის, ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში, გრუნტის ზედაპირიდან 2,7 მ-მდე სიმაღლეზე:არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი შეჭრა 0.3 მ-ზე მეტად. ამავე მუხლის 5-ე ფუნქტის თანახმად, შენობაზე მიმაგრებული ნიშნები და აბრები შესაძლებელია იყოს შეჭრილი საზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-ზე მაღლა სიმაღლეზე, მაგრამ ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან პერპენდიკულარული მანძილი ამ ნიშნებამდე და აბრებამდე უნდა იყოს მინიმუმ 1,2 მ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფოტომონტაჟზე დატანილ და დაცულ იქნას საპროექტო აბრის ქვედა ნიშნულიდან ტროტუარამდე მანძილი და ტროტუარის სიგანის მანძილი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.